



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.8722187001

თარიღი:06/07/2022

განკარგულება №16

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ალავერდში მდებარე 691 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ალავერდში მდებარე 691კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საკადასტრო კოდი - 50.12.35.032).
2. დამტკიცდეს განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული მიწის ნაკვეთის:
 - ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური - 4700 (ოთხიათას შვიდასი) ლარის ოდენობით;
 - ბ) „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30%-ით - 1400 (ერთიათას ოთხასი) ლარის ოდენობით;
 - გ) ელექტრონული აუქციონის ბიჯის ოდენობა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით - 470 ლარის ოდენობით;
3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

